

შპს ვექტუმ 2015

ფინანსური ინფორმაცია

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

საანგარიშგებო წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	6
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	7
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	8
5. ძირითადი საშუალებები	10
6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	11
7. ფული და ფულის ექვივალენტები	11
8. ფინანსური ვალდებულება	11
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11
10. საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯი	12
11. სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	12
12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	12
13. პირობითი ვალდებულებები	13
14. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	13

შპს ვექტრუმ 2015

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები:			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	8,544,248	8,748,804
სულ გრძელვადიანი აქტივები		8,544,248	8,748,804
მიმდინარე აქტივები			
გადახდილი ავანსები		78,292	60,104
სასაქონლო მატერიალური მარაგი	6	507,582	508,871
საგადასახადო აქტივი		-	8,779
ფული და ფულის ექვივალენტები	7	339,907	271,191
სულ მიმდინარე აქტივები		925,782	848,945
სულ აქტივები		9,470,030	9,597,749
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები:			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		10,514,193	10,514,193
დაგროვილი ზარალი		(5,002,527)	(4,106,994)
სულ საკუთარი კაპიტალი		5,511,666	6,407,198
გრძელვადიანი ვალდებულება			
გადავადებული შემოსავალი		440,068	587,253
ფინანსური ვალდებულება	8	3,242,055	2,404,014
სულ გრძელვადიანი ვალდებულება		3,682,123	2,991,267
მოკლევადიანი ვალდებულება			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	268,310	199,283
საგადასახადო ვალდებულება		7,931	-
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		9,470,030	9,597,749

ფინანსური ინფორმაცია ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2025 წლის 31 მაისს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



დავით ისახანაშვილი

07-16 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

შპს ვექტრუმ 2015

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან		886,022	507,291
შემოსავალი სხვა მომსახურებიდან		-	24,000
შემოსავალი ბიოლოგიური აქტივის რეალური ღირებულებით შეფასებიდან		921,538	599,750
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		(890,416)	(521,210)
საერთო მოგება		917,143	609,831
		-	-
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯი	10	(1,222,349)	(850,054)
ძირითადი საშუალებების ცვეთა		(585,702)	(430,937)
სხვა საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები	11	(126,233)	(113,388)
საოპერაციო ზარალი		(1,017,141)	(784,548)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები, ნეტო		326,581	381,263
ფინანსური ხარჯები		(204,925)	(299,883)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი, ნეტო		(48)	(14,431)
ზარალი მოგების გადასახადის ხარჯამდე		(895,532)	(717,599)
მოგების გადასახადი		-	-
საანგარიშგებო პერიოდის წმინდა ზარალი		(895,532)	(717,599)

დირექტორი



დავით ისახანაშვილი

შპს ვექტრუმ 2015

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	საანგარიშგებო პერიოდის წმინდა ზარალი	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2022	9,502,004	(3,389,395)	6,112,608
საწესდებო კაპიტალის ზრდა	1,012,189		
საანგარიშგებო პერიოდის წმინდა ზარალი		(717,599)	
31 დეკემბერი 2023	10,514,193	(4,106,994)	6,407,198
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-		
საანგარიშგებო პერიოდის წმინდა ზარალი		(895,532)	
31 დეკემბერი 2024	10,514,193	(5,002,527)	5,511,666

შპს ვექტრუმ 2015

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

	<u>2024</u>	<u>2023</u>
საანგარიშგებო პერიოდის წმინდა ზარალი	(895,532)	(717,599)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		
სამუშაო კაპიტალის კორექტირება:		
ცვეთა	538,995	495,874
ფინანსური ხარჯი	204,925	299,883
გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან/ჩამოწერიდან მიღებული შედეგი	28,299	(1,850)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება, ნეტო	48	14,431
სამუშაო კაპიტალის ცვლილება		
მარგების ცვლილება	1,288	(82,976)
გადახდილი ავანსების ცვლილება	(18,188)	2,080,400
ვალდებულებების ცვლილება	85,875	58,066
გადახდილი თანხები		
გადახდილი პროცენტი	(204,925)	(299,883)
<u>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები</u>	<u>(259,215)</u>	<u>1,846,345</u>
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		
გრძელვადიანი აქტივის შესყიდვის შედეგად გადახდილი ფული	(369,668)	(3,294,727)
გრძელვადიანი აქტივის გაყიდვიდან მიღებული ფული	6,929	11,106
<u>საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები</u>	<u>(362,739)</u>	<u>(3,283,620)</u>
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	1,012,189
გადავადებული შემოსავლის ეფექტი	(147,185)	297,004
გრძელვადიანი სესხის აღების/დაფარვის შედეგად მიღებული/გადახდილი ფული	838,042	(90,049)
<u>საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები</u>	<u>690,856</u>	<u>1,219,144</u>
გაცვლითი კურსის ეფექტი ფულისა და ფულის ექვივალენტებზე	(187)	207,553
<u>ფულისა და ფულის ექვივალენტების წმინდა ცვლილება</u>	<u>68,715</u>	<u>(10,578)</u>
<u>ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში</u>	<u>271,191</u>	<u>281,770</u>
<u>ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს</u>	<u>339,907</u>	<u>271,191</u>

07-16 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ვექტრუმ 2015 (შემდეგში - კომპანია) დაარსდა 2016 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სოფლის მეურნეობა, კერძოდ კაკლის კულტურების გაშენება და მოვლა. კომპანიას ამჟამად გაშენებული აქვს კაკლის ბაღი 80 ჰექტარზე. საანგარიშგებო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობს კაკლის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა ქვეკონტრაქტორების დახმარებით; აღნიშნული საქმიანობისთვის კომპანიამ აიღო გრძელვადიანი სესხი.

კომპანიის ყოველდღიური მართვა ხორციელდება დირექტორის მიერ. კომპანიის დირექტორი და 100%-იანი წილის მფლობელია დავით ისახანაშვილი.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ონიაშვილის ქ., N 71, ბ. 8

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ინფორმაციის მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი. ფინანსური ინფორმაციის არეები, რომლისთვისაც ფინანსური ინფორმაციის მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ინფორმაცია წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ინფორმაციის მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-14 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განაგრძონ საქმიანობა საქართველოში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

სააღრიცხვო მსჯელობები და გადაწყვეტილებები მიმოხილვება სისტემატიურად. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების შემთხვევაში, ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში როდესაც ეს ცვლილება მოხდა, თუ ცვლილება ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს, მაშინ ცვლილება გავლენას მოახდენს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

გრძელვადიანი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები.

ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლის მიღებას.

სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- სავალუტო რისკი
- საპროცენტო განაკვეთის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ინფორმაციის სხვადასხვა ნაწილში.

კომპანიის მიერ ფლობილი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებისგანაც წარმოიშობა ფინანსური რისკები, წარმოდგენილია შემდეგნაირად: სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ექვივალენტები, მიღებული სესხები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

ყველა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით. ფული და ფულის ექვივალენტების, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, მათი მოკლევადიანი ბუნების გამო, შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის.

მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდგომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

შპს გექტრუმ 2015

ფინანსური ინფორმაცია

საქმიანობის მიმოხილვა

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		-	-	-
ფული და ფულის ექვივალენტები	339,234	672	-	339,906
	339,234	672	-	
ფინანსური ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	3,129,161	28,068	84,826	3,242,055
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	254,808	-	13,503	268,310
	3,383,969	(28,068)	98,329	
ღია საბალანსო პოზიცია	(3,044,735)	28,740	(98,329)	

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას ევროსა და დოლარის ლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას. წმინდა მოგებაზე და კაპიტალზე გავლენა დამყარებული აქტივების ღირებულებაზე:

	2024 EUR	
სავალუტო რისკის მგრძნობელობა	+20%	-20%
ევროს ეფექტი მოგება/(ზარალი)	(19,666)	19,666
	2024 USD	
სავალუტო რისკის მგრძნობელობა	+20%	-20%
დოლარის ეფექტი მოგება/(ზარალი)	(5,748)	5,748

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანიას სესხები აღებული აქვს ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთით და შესაბამისად მისაღებ დონემდე აქვს დაყვანილი საპროცენტო რისკი.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალი მოიცავს ჩვეულებრივ საწესდებო კაპიტალს და დაგროვილ ზარალს. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ პასუხისმგებელნი არიან კაპიტალის შენარჩუნებაზე და ზრდაზე, ასევე მფლობელებისთვის ადეკვატური შემოსავლის მიღებაზე.

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს დამფუძნებლისთვის სარგებლის მოტანა და გამოიმუშაოს დამფუძნებლისთვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად მომსახურების შეფასებით.

07-16 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

შპს ვექტუმ 2015
ფინანსური ინფორმაცია
საქმიანობის მიმოხილვა
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი შენიშვნა	შენიშვნა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა)	ბაღები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება										
31 დეკემბერი 2022	272,203	893,296	782,042	1,237,045	63,589	445,460	5,741	3,310,175	10,253	7,019,803
შემენა	-	1,333,060	-	1,934,348	16,730	-	5,047	-	5,543	3,294,727
რეკლასიფიკაცია	-	(417,567)	417,567	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	(13,761)	-	-	-	-	-	(13,761)
31 დეკემბერი 2023	272,203	1,808,788	1,199,609	3,157,631	80,319	445,460	10,787	3,310,175	15,796	10,300,769
შემენა	-	255,395	-	71,145	3,744	-	12,102	5,351	21,929	369,668
რეკლასიფიკაცია	-	(2,022,877)	2,022,877	-	-	-	-	(42,425)	-	(42,425)
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2024	272,203	41,306	3,222,486	3,228,777	84,063	445,460	22,890	3,273,101	37,726	10,628,011
დაგროვილი ცვეთა										
31 დეკემბერი 2022	-	-	(76,744)	(440,248)	(30,986)	(112,167)	(1,615)	(396,060)	(2,775)	(1,060,596)
ცვეთა	-	-	(24,962)	(272,702)	(15,297)	(45,498)	(2,145)	(132,407)	(2,863)	(495,874)
გასული აქტივების ცვეთა	-	-	-	4,505	-	-	-	-	-	4,505
31 დეკემბერი 2023	-	-	(101,706)	(708,446)	(46,283)	(157,665)	(3,760)	(528,467)	(5,638)	(1,551,965)
ცვეთა	-	-	(59,790)	(281,400)	(12,675)	(45,087)	(3,482)	(131,134)	(5,427)	(538,995)
გასული აქტივების ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	7,197	-	7,197
31 დეკემბერი 2024	-	-	(161,496)	(989,845)	(58,959)	(202,752)	(7,241)	(652,404)	(11,065)	(2,083,763)
შეტო საბალანსო ღირებულება										
31 დეკემბერი 2022	272,203	893,296	705,298	796,796	32,603	333,293	4,126	2,914,115	7,478	5,959,207
31 დეკემბერი 2023	272,203	1,808,788	1,097,903	2,449,186	34,035	287,795	7,028	2,781,708	10,158	8,748,804
31 დეკემბერი 2024	272,203	41,306	3,060,990	2,238,931	25,104	242,708	15,648	2,620,697	26,661	8,544,248

07-16 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

შპს ვექტრუმ 2015

ფინანსური ინფორმაცია

საქმიანობის მიმოხილვა

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
სოფლის მეურნეობის ნედლეული და მასალები	242,295	158,965
სამშენებლო მასალა	89,881	68,880
საწვავი	9,161	9,456
მზა პროდუქცია	166,246	271,570
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	507,582	508,871

7. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
ფული ბანკში, მიმდინარე ანგარიშებზე ლარში	339,234	265,812
ფული ბანკში, მიმდინარე ანგარიშებზე სხვა ვალუტაში	673	5,379
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	339,907	271,191

ფულის და ფულის ექვივალენტების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

8. ფინანსური ვალდებულება

ფინანსური ვალდებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
ბანკის სესხი	1,637,569	2,167,697
დამფუძნებლის სესხი	1,604,486	236,317
სულ ფინანსური ვალდებულება	3,242,055	2,404,014

მიღებული სესხების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

მიღებული სესხების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო ვალდებულებები (რეზიდენტები)	251,877	180,634
სავაჭრო ვალდებულებები (არარეზიდენტები)	13,503	15,674
თანამშრომლების მიმართ ვალდებულებები	2,931	2,975
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	268,310	199,283

ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

07-16 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

შპს ვექტრუმ 2015

ფინანსური ინფორმაცია

საქმიანობის მიმოხილვა

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

10. საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯი

საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯი 2024 წლის პერიოდით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
შრომის ანაზღაურება	536,744	382,656
ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ხარჯი	550,747	372,450
საგადასახადო ხარჯი	79,222	52,044
საწვავის ხარჯი	43,374	28,248
საპენსიო შენატანის ხარჯი	9,381	6,553
სხვა ხარჯები	2,881	8,103
სულ საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯი	1,222,349	850,054

11. სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი 2024 წლის პერიოდით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
კომუნალური ხარჯი	36,275	31,374
ტექნიკის ხარჯი	19,026	730
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	64,787	63,026
საბანკო ხარჯი	3,448	3,995
საგადასახადო ხარჯი	174	760
მიწისფენების ხარჯები	-	3,242
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	2,523	10,260
სულ სხვა საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები	126,233	113,388

12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც საჭიროებს დამატებით ინფორმაციის გამჟღავნებას.

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, აღგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

07-16 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

13. პირობითი ვალდებულებები

დივიდენდის განაწილება

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

14. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

კომპანია ფინანსურ აქტივებს აკლასიფიცირებს ერთ-ერთი კატეგორიის მიხედვით, რომლებიც ქვემოთ არის განხილული, დამოკიდებული აქტივის ფლობის მიზანზე. კომპანია არ ფლობს ფინანსურ აქტივს რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალის ასახვით ან რეალური ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ასახვით.

ამორტიზებული ღირებულება

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აქტივს ფლობს იმ ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად. ფინანსური აქტივები თავდაპირველად აღიარდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივების შემენასთან და შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი.

ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფული და ფულის ექვივალენტებს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე 3 თვემდე დაფარვის ვადით.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც ორი კატეგორია, იმის მიხედვით რა მიზნით ფლობს კომპანია ამა თუ იმ ვალდებულებას: რეალური ღირებულება მოგება ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსური ვალდებულებები. კომპანია არ ფლობს ფინანსურ ვალდებულებების კლასიფიკაციას რეალური ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მიღებული სესხები, საიჯარო ვალდებულებები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ურთიერთგადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ინფორმაციაში წარდგება ნეტო თანხა, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული არსებითი თანხების ურთიერთ გადახურვისთვის.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც

აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. სასარგებლო მომსახურების ვადები ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირად განისაზღვრება:

ბაღები	25 წელი
შენობა-ნაგებობები	20 წელი
მანქანა-დანადგარები	5 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	5 წელი

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომი აღრიცხვა თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს ყველა შეძენის ხარჯსა და ხარჯებს რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ყოველ საანგარიშო პერიოდში ხდება მარაგების შეფასება გაუფასურებაზე. თუ აღმოჩნდა, რომ მარაგები გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება გაყიდვის ფასს მიწუს გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებას ან ზარალში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობები აისახება მოგებისა ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

07-16 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

შპს ვექტრუმ 2015

ფინანსური ინფორმაცია

საქმიანობის მიმოხილვა

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

	აშშ დოლარი / ლარი	ევრო/ლარი
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	3.5040

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებებთან

დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდით. შედეგად კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

შემოსავლების აღიარება

კომპანიის შემოსავლები შედგება სასოფლო სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული პროდუქტის რეალური ღირებულებით თავდაპირველი აღიარებისას მიღებული შემოსავლისა (გაყიდვისთვის საჭირო შეფასებული დანახარჯების გამოკლებით) და სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლებისაგან. 2021 წელს კომპანიამ პირველად მიიღო შემოსავალი ძირითადი საოპერაციო საქმიანობიდან.

რეალიზაციისას შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება, მიუხედავად იმისა როდის მოხდება ანაზღაურება. შემოსავლის შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების საფუძველზე, ფასდათმობისა და გადასახადების გამოკლებით.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარებულია პროპორციულად შემოსავალთან ერთად. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

07-16 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ინფორმაციის ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ინფორმაციაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ინფორმაციის თანდართულ შენიშვნებში.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსურ ინფორმაციაში. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.